839-15-13-2-201901231242

N 15-13/839
23/01/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებული [redacted] №2 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს №14492/18 განცხადებით მომართა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა [redacted] განმცხადებელი ითხოვს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას. მისი განმარტებით, №6 პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში განესაზღვრა საშიშროების მომეტებული რისკი, რის საფუძველზეც 2018 წლის 5 სექტემბერს გადაიყვანეს №2 პენიტენციურ დაწესებულებაში. [redacted] ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რეგისტრირებულია თბილისში, სადაც ასევე ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები. შესაბამისად, მანძილის სიშორის გამო, ვერ ახერხებენ მის მონახულებას.

მითითებული გარემოებების საფუძველზე, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის, კონკრეტულად კი, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა №11-2/14250 წერილით მიმართა სპეციალურ პენიტენციურ დეპარტამენტს. მიღებული ინფორმაციით, „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 09 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, მსჯავრდებულ [redacted] მსჯავრდებულის რისკის შეფასების გუნდის მიერ, 2018 წლის 03 სექტემბერს დაუდგინდა საშიშროების მომეტებული რისკის სახე, რომლის საფუძველზეც პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 04

სექტემბრის N13542 ბრძანებით სასჯელის მოხდა განესაზღვრა დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და მოთავსებული იქნა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში. ამდენად, სასჯელის მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპის და სასჯელის ზომის გათვალისწინებით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელს იხდის კანონით განსაზღვრული შესაბამისი (დახურული) ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და ამ ეტაპზე, მისი გადაყვანა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ვერ ხერხდება, გადატვირთულობის თავიდან აცილების გამო.

მიღებული ინფორმაციის დაზუსტებისა და №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის დადგენის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა N15-13/15941 წერილით დამატებით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურს. მიღებული პასუხის თანახმად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, განთავსებული იყო 1111 ბრალდებული და 1652 მსჯავრდებული პირი, სულ - 2763 პატიმარი.

სამართლებრივი დასაბუთება

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *დაწესებულებაში განთავსებულები არიან ბრალდებულები, მათ შორის, არასრულწლოვანი ბრალდებულები, რომელთაც სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა ან/და პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილნი არიან პატიმრობის კოდექსის 55[1] მუხლის შესაბამისად და **მსჯავრდებულები, რომლებსაც სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის (შემდგომში - დეპარტამენტის დირექტორი) ბრძანებით განესაზღვრათ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა** ან **რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ საშიშროების მომეტებული რისკი** და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში.*

აღსანიშნავია, რომ №8 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, ის მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა ან საშიშროების მომეტებული რისკი, შესაძლებელია ასევე განთავსდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე №9 პენიტენციურ დაწესებულებაში[1], №12 პენიტენციურ დაწესებულებაში[2], №15 პენიტენციურ დაწესებულებაში[3] და №17 პენიტენციურ დაწესებულებაში[4].

---

[1] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №120 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №9 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი;

[2] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №115 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №12 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი;

თუმცა, მსჯავრდებულ [redacted] მოთხოვნა კონკრეტულად №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე განპირობებულია არა მხოლოდ მისთვის განსაზღვრული სასჯელის მოხდის ტიპით და საშიშროების რისკით, არამედ ოჯახის წევრებთან ახლოს ყოფნის გარემოებით და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოებული კომუნიკაციით.

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ***მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.*** ამავე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს მე-3 ნაწილით დადგენილი წესის საგამონაკლისო შემთხვევებს, მათ შორის პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობას, რა დროსაც სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით მსჯავრდებული სამსახურის გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში.

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტის თანახმად, №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 3170 ბრალდებული/მსჯავრდებული.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ №8 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას, რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა პენიტენციური დეპარტამენტიდან (დადგენილი ლიმიტია - 3 170 პატიმარი; მოთავსებულია - 2 763 პატიმარი. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა დამატებით განათავსოს 407 პატიმარი), მსჯავრდებულ [redacted] №8 დაწესებულებაში გადაყვანა გამორიცხავს გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლოს ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაიყვანოთ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

---

[3] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №111 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №15 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი;

[4] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №110 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №17 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი;

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი